საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტის მარინე დგებუაძის გერმანიაში, ქ. ზაარბრუკენში ვიზიტის ანგარიში

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ 2019 წლის 18 მაისიდან 28 მაისამდე, ბიზნესისა და სამართლის ინსტიტუტის ხელშეწყობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტსა და ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის(HTW saar) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საშუალება მომეცა სადოქტორო კვლევისთვის გავმგზავრებულიყავი გერმანიაში, ქ. ზაარბრუკენში, რისთვისად გამოვხატავ ჩემს მადლიერებას მათ მიმართ.

ვიზიტის ფარგლებში ვიმყოფებოდი ქ. ზაარბრუკენის მერიის დაგეგმვის, სტატისტიკისა და არჩევნების განყოფილებაში საარჩევნო მენეჯმენტის სისტემის თაობაზე კვლევითი სამუშაოების განხორციელების მიზნით. 26 მაისის ევროპარლამენტისა და ზაარბრუკენის ადგილობრივი არჩევნების მაგალითზე საარჩევნო პროცესი და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მის მართვას გავეცანი. ვიხილე, როგორც თავისუფალი და საჯარო პროცესი, ასევე პროცესისადმი მოქალაქეთა მაღალი თვითშეგნების გამოხატვა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობები განსხვავდება ერთმანეთისგან. განსხვავებულია საარჩევნო ადმინისტრაციების შემადგენლობა და მათი ფუნქციები. ერთმანეთისგან განსხვავდება გერმანიის მხარეების „ლანდების“ ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კანონმდებლობაც. გერმანიის საარჩევნო ადმინისტრაცია რამდენიმე საფეხურიანია. ყველა ამ საფეხურზე მუშაობს სხვადასხვა საარჩევნო ორგანო, ვალდებულებათა და პასუხისმგებლობის განსხვავებული სპექტრით. ზაარბრუკენში არჩევნებს, ადგილობრივ თვითმმართველობის დაგეგმვის, სტატისტიკისა და არჩევნების სამმართველოს საარჩევნო ბიურო უწევს ორგანიზებას, რაც საქართველოში, საარჩევნო პროცესის მართვის ფორმისგან განსხვავდება.

აქტიურად ვიყავი ჩართული ევროპარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისიაში. 26 მაისს, არჩევნების დღეს, ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე (ზაარბრუკენის ერთ-ერთი რაიონი დუდვაილერი, უბანი#1311), ვაკვირდებოდი კენჭისყრის პროცესს. ჩემი უბანზე ყოფნის განმავლობაში, არცერთი პარტიის წარმომადგნელი, ან რომელიმე ორგანიზაციის წევრი არ მოსულა პროცესზე დასაკვირვებლად. არავინ იდგა საარჩევნო უბანთან. ამ არჩევნებზე იყო 6 ბიულეტენი და, ევროპარლამენტის გარდა, ირჩევდნენ ზაარბრუკენის მერს, ქალაქის საკრებულოს, რაიონულ საკრებულოს, რეგიონულ ასამბლეასა და მის დირექტორს. ამდენი ორგანოს არჩევნებიდან გამომდინარე, რთული სამუშაო ჰქონდა კომისიას, მაგრამ პროცესის სწორად მართვის შედეგად (ნაწილი წევრებისა ითვლიდნენ ევროპარლამენტის ბიულეტენებს, ნაწილი კი ადგილობრივი თვითმმართველობისას, თავმჯდომარე და მოადგილე აჯამებდა ხმებს) ბიულეტენების დათვლა, შეკვრა და ოქმის შევსება 4 საათში დასრულდა. ხელშემწყობი ფაქტორი იყო ისიც, რომ კომისიას არ უხდებოდა სტრესულ მდგომარეობაში მუშაობა, რასაც ჩვენთან კომისიის შემადგენლობის დილიდან გვიანობამდე საარჩევნო უბანზე ყოფნა და დამკვირვებელთა უზომოდ დიდი რაოდენობა იწვევს.

სარჩევნო უბნებზე პროცესის მართვა საქართველოში სრულებით განსხვავებულია. ჩემს სადისერტაციო ნაშრომში, რა თქმა უნდა, შედარებული და გაანალიზებული იქნება ზემოაღნიშნული მართვის ფორმები.

გერმანიაში არჩევნებზე ხმის მიცემის ორი ფორმა არსებობს: ხმის მიცემა უბანზე მისვლით და ფოსტის საშუალებით, წერილის გაგზავნით. ეს უკანასკნელი, გერმანელების აზრით, ძალიან მოსახერხებელია, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ასევე იმ ადამიანებისთვის, ვინც ვერ ახერხებს არჩევნების დღეს უბანზე მისვლას, არ აქვს მნიშვნელობა რა მიზეზით.

საარჩევნო ადმინისტრაციის მართვის ზოგიერთი ასპექტი შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს საქართველოს რეალობაში.

ვიზიტის პერიოდში ჩემ მიერ, თვისებრივი კვლევისთვის, ჩაწერილია 13 ინტერვიუ:

1. ბურგერმაისტერ ბატონ ლატცთან/SPD --21 მაისი;
2. მწვანეთა ფრაქციის თავმჯდომარე ხოსე როდრიგესთან--21 მაისი;
3. პარტია SPD-ს ფრაქციის წარმომადგენელ სიმონ მუსეკამპთან--21 მაისი;
4. არჩევნების და სტატისტიკის განყოფილების თავმჯდომარე ვესპი-ოსთან--21, 22, 24 მაისს;
5. პარტია CDU-ს ფრაქციის წარმომადგენელთან--22-23 მაისს;
6. პარტია AFD-ს ლანდთაგის პარლამენტის წევრთან, რუდოლფ მულერთან--25 მაისი;
7. პარტია AFD-ს ზაარბრუკენის საკრებულოს წევრთან, კრემერთან--25 მაისი;
8. პარტია Der Linke-ს ბუნდესთაგის დებუტატთან, თომას ლუტცესთან ინტერვიუ--25 მაისი;
9. პარტია FDP-ს ზაარბრუკენის საკრებულოს წევრობის (Spizer)კანდიდატ ჰელმუტ ისრინგჰაუსთან--25 მაისი;
10. პარტია Ökologisch-Demokratische Partei/ÖDP ევროპარლამენტის წევრობის კანდიდატ მანუელა რიპასთან--25 მაისი;
11. უბნის (1311) თავმჯდომარის მოადგილესთან ინტერვიუ--26 მაისი;
12. უბნის კომისიის წევრთან ინტერვიუ--26 მაისი;
13. მოქალაქესთან ინტერვიუ--26 მაისი.

ინტერვიუებში, რესპოდენტების მიერ, გამოთქმულია მოსაზრებები საარჩევნო პროცესისადმი, მისი მართვისა და ადმინისტრაციისადმი დამოკიდებულებაზე, აგრეთვე ელექტრონულ არჩევნებზე.

რაოდენობრივი კვლევისთვის, ჩემ მიერ შედგენილი იყო 16 კითხვიანი კითხვარი. გამოკითხულია 100-მდე ადამიანი. კითხვარი მოგვცემს საშუალებას გავაანალიზოთ მოსახლეობის საარჩევნო პროცესის, საარჩევნო ადმინისტრაციის, კენჭისყრი ფორმების, პარტიების, მათი პროგრამებისა და არჩევნების შედეგებისადმი დამოკიდებულება.

ანგარიშს ერთვის კვლევის პერიოდში გადაღებული ფოტომასალა.

ინტერვიუები და მოსახლეობის გამოკითხვის მასალები მაქვს მატერიალური სახით, გერმანულ ენაზე. მათ თარგმნასა და დამუშავებას ვახორციელებ პერიოდულად.

დავათვალიერე ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები. შევიძინე თემასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო „Wahlen und Wahlsysteme“ (Joachim Benke, 2017, Walter de Gruyter Gmbh, Berlin/Boston), რომელიც გაამდიდრებს ჩემს სადოქტორო ნაშრომს.

კიდევ ერთხელ, გამოვხატავ მადლიერებას სტუ რექტორის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, ჩემი სადოქტორო თემის ხელმძღვანელის და ზაარბრუკენის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორ ვილჰელმ ჰაუსერის მიმართ, რომელთა ხელშეწყობით საშუალება მომეცა განმეხორციელებინა, ჩემი სადოქტორო ნაშრომისთვის, მნიშვნელოვანი კვლევა.

პატივისცემით,

დოქტორანტი

მარინე დგებუაძე